ქალაქ თბილისის მერიის
ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

TBILISI MUNICIPAL OFFICE OF URBAN PLANNING

ქალაქთმშენებლობითი პირობები



№ 3-1/39

ეგზემპლიარი № 1

თბილისი
2006

ქ. თბილისის მერია

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

სამსახურის უფროსის მ.შ.

მ. მახათაძე

„ 08 " 11 2006 წელი

9-1139
13.11.06

ქალაქმშენებლობითი პირობები

დასაპროექტებელი ობიექტი: არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი საოფისე შენობის მშენებლობა

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ჩუბინაშვილის ქ. №63

დამკვეთი-მენაშენე: შპს "მერქნის დაცვა"

მიწის ნაკვეთის მოსარგებლე: შპს "მერქნის დაცვა"

ქალაქმშენებლობითი პირობები № ————	დამკვეთი/მენაშენე:	შპს "მერქნის დაცვა"
	საპროექტო ობიექტი:	არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი საოფისე შენობის მშენებლობა
	ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია;	ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ჩუბინაშვილის ქ. №63

I - საერთო ნაწილი

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი:

ქალაქმშენებლობითი პირობები გაცემულია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-3 მუხლისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით, დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების შესაბამისად.

- დამკვეთის-მენაშენის განაცხადი:

№ფ-1/39 11.09.06წ.

- მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო № 33050/2003, საკადასტრო №1/16/1/8/5 (მიწის ნაკვეთი 864 კვ.მ საკუთრება)

- სხვა დამატებითი საბუთი:

- საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №29 28.09.06

- რეგლამენტთან შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთი:

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრის დასკვნა №758 07.11.06წ.

II - ქალაქის გენერალური გეგმის, დეტალური დაგეგმარების ან განაშენიანების პროექტის მოთხოვნები

ქალაქის გენგეგმიდან გამომდინარე განსახილველ ტერიტორიაზე რაიმე გეგმარებითი ცვლილებები არ არის გათვალისწინებული.

გვ. 1	შემსრულებელი:	ბ.ვონაშვილი	„25" 10 2006წ.

ქალაქთმშენებლობითი პროექტები

№ ____

დამკვეთი/მენაშენე: შპს "მერქნის დაცვა"

საპროექტო ობიექტი: არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი საოფისე შენობის მშენებლობა

ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია; ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ჩუბინაშვილის ქ. №63

III – მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (უძრავი ობიექტის) სამშენებლო განვითარებაზე

№	დავალების პოზიციები	რეკომენდაციები
1	შენობა-ნაგებობების განთავსება მიწის ნაკვეთზე, მოშენების ხაზი და სხვა ფაქტორების გათვალისწინება; მიმდებარე შენობები	საპროექტო შენობა განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში. ძირითადი ფასადები ორიენტირებული იქნას ჩუბინაშვილისა და ფოცხვერაშვილის ქუჩების მხარეს.
2	შენობის პირველი სართულის და მიწისქვეშა სივრცის გამოყენება	მიწისქვეშა სივრცეში მოეწყოს დამხმარე სათავსოები.
3	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით-გეგმარებითი წყობის შეცვლა	დაშლილი და გატანილი იქნას მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობები.
4	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება მშენებლობა (ინსოლაცია, განათება, ჩაუხედაობა და სხვა)	დაცული იქნას ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) მშენებლობის ნორმები და წესების მოთხოვნები. შესწავლილი იქნას მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში დამუშავდეს მათი გამაგრების პროექტი.
5	შიდა და გარე კეთილმოწყობა, მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და სხვა გარემოს დაცვითი პირობების დაცვა	შენარჩუნებული იქნას მწვანე ნარგავები. ტერიტორია კეთილმოეწყოს.
6	მიწის ნაკვეთის ზოგადი დახასიათება მიწის ნაკვეთის საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა	მიწის ნაკვეთის რელიეფი წყნარია, დასავლეთიდან მას ესაზღვრება ჩუბინაშვილის ქუჩა, ჩრდილოეთიდან ფოცხვერაშვილის ქუჩა, ხოლო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან 1-2 სართულიანი შენობები.
7	საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; არქეოლოგიური დასკვნა	სეისმურად მიღებული იქნას 8 ბალი. ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები.
8	სხვა პირობები	არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს: - ფასადების მოსაპირკეთებელი მასალისა და ფერის, გადახურვის მასალისა და ფერის მითითება. - დამცავი საშუალებების (ჟალუზებისა და გისოსების) ერთიანი გადაწყვეტა. - ფანჯრების, ფრამუგებისა და კარის სპეციფიკაცია. - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში გათვალისწინებული იქნას სამშენებლო ბადეების მოწყობა ჩუბინაშვილისა და ფოცხვერაშვილის ქუჩების მხრიდან.

შემსრულებელი:	ბ. გონაშვილი	„25“ 10 2006წ.	გვ. 2

IV – მოთხოვნები საქალაქო მეურნეობის დარგებზე

წყალსადენ-კანალიზაცია:	ტექნიკური პირობები წარმოდგენილი იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს.
ელექტრო მომარაგება:	ტექნიკური პირობები წარმოდგენილი იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს.
ბუნებრივი აირით მომარაგება:	
სუსტი დენები:	
გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების ზიდვის მანძილი	ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმდეს მშენებლობის პროცესში ტერიტორიის შეზღუდვის, სამშენებლო ნარჩენების და გრუნტის გატანის პირობები

V - პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მიღება

პროექტის შეთანხმებისათვის დამკვეთი-მენაშენე ვალდებულია ტექდოკუმენტაცია წარმოადგინოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში.

მშენებლობის ნებართვა გაიცეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მიხედვით.

წინამდებარე ქალქმშენებლობითი პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ორი წლის განმავლობაში.

ქალქმშენებლობითი პირობები შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის: თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: სარაჯიშვილის გამზ. №1ა) 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის მოადგილე - /გ. ბზეკალავა/

განყოფილების უფროსი - /ირ. კვარაცხელია/

გვ. 3	შემსრულებელი:	ბ. გონაშვილი	„25" 10 2006წ.

ქალაქგეგმარებითი პირობები

№ ____

დამკვეთი/მენაშენე: შპს "მერქნის დაცვა"

საპროექტო ობიექტი: არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი საოფისე შენობის მშენებლობა

ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ჩუბინაშვილის ქ. №63

სამსახურის უფროსის მ.შ. - მ. მახათაძე

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა

დასკვნა № 758

დამკვეთი (მენაშენე): შპს "მერქნის დაცვა"

დასაპროექტებელი ობიექტი: არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი საოფისე შენობის მშენებლობა

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ჩუბინაშვილის ქ. №63

გეგმარებითი შეზღუდვები: განაშენიანების რეგულირების ზონა

I- მონაცემები არსებული მდგომარეობის მიხედვით

№	ფუნქციური ზონირება „უფლებრივი ზონირების" მუხლი 12-ს შესაბამისად	
1	ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ზონა	სზ1
2	განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა	სზ2
3	განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა	სზ3
4	განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა	სზ4
5	განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი(შერეული)ზონა	შზ
6	განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა	სსზ
7	სარეკრიაციო ზონა 1	რზ1
8	სარეკრიაციო ზონა 2	რზ2
9	საწარმოო ზონა	
10		

დასკვნა: ტერიტორია წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას (სზ-4)
K_j=0,6; K_s=2,2

შენიშვნები:

ქალაქგეგმარების განყოფილება 07.11.06

შემსრულებელი: ბ. გონაშვილი

ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

საკადასტრო რუკა

მასშტაბი: 1:500

საკომისიო № 3372/2000

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი
რეგისტრატურა №1

ქონის ნომერი:
საკადასტრო № 1 / 16 / 1 / 8/5
ზონა თბილისი | სექტორი წყალტუბო | კვარტალი | ნაკვეთი

მისამართი: ნუბინაშვილის ქუჩა №63

ფართობი: 864 კვ.მ.

თარიღი: 09.12.99წ.

შესრულებულ: შპს „მერქნის დაცვა"

კ.შენგელია
სახელმწიფო რეგისტრატორი



№2598-99

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- არასაცხოვრებელი შენობა
- საცხოვრებელი შენობა
- უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობა
- შენობა-ნაგებობა
- შენობის ნომერი
- ტერიტორია
- სატრანსფორმატორო ქვესადგური
- და ელექტრო ქსელის ობიექტები
- რეზერვუარი
- ღობე
- კედელი
- რკინიგზა
- მაღალი ძაბვის ელექტრო-გადამცემი ხაზი
- ბორდიური
- ხეები
- სამეთვალყურეო ჭები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის *წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს* – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომის

ოქმი №29

28.09.06წ.

სხდომას ესწრებოდნენ: მ. მახათაძე, ბ. გონაშვილი, გ. სულაბერიძე, ს. სახანბერიძე, მ. ხატიაშვილი, გ. წულაძე.
სხდომის მდივნები: მ. თუმანიშვილი, თ. უკლება.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისი, გოგებაშვილის ქ. №30-34 საცხოვრებელი სახლის პროექტის დასამუშავებლად ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა. (სტადია-ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა).
2. ქ. თბილისი, ავლევის ქ. №7, ავარიული სახლის დემონტაჟისა და ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი. (სტადია-პროექტი).
3. ქ. თბილისი, ჯორბენაძის ქ. №7-ში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.
4. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №66-ში კომერციული ობიექტის მოწყობის პროექტის შეთანხმების შესახებ.
5. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №60-ში, მანსარდის მოწყობის პროექტი. (სტადია-ქალაქმშენებლობითი პირობები).
6. ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში შპს „მერქნის დაცვა"-ს კუთვნილი შენობის დემონტაჟის და ახალი საოფისე შენობის ასაშენებლად ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.
7. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №25-სა და 29-ს შორის მდებარე შპს „სალის" კუთვნილი სასტუმროს რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ.
8. ქ. თბილისი, არაგვის ქ. №10-12-ში სამსართულიანი საცხ. სახლისათვის ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა.
9. ქ. თბილისი, ფაღავას ქ. №36, საცხოვრებელი სახლის პროექტი (სტადია-პროექტი).
10. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №142-ში 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის I სართულზე არასაცხოვრებელი ფართობისათვის დამხმარე სათავსოების მოწყობა, (სტადია-პროექტი).
11. ქ. თბილისი, გორკის ქ. №38-ში, მანსარდის პროექტი, (სტადია-ქალაქმშენებლობითი პირობები).
12. ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №11-ში მრავალბინიანი საცხ. სახლის პროექტი (სტადია-პროექტი).
13. ქ. თბილისი, ხუციშვილის ქ. №18/19, ინდივიდუალური საცხ. სახლის პროექტი (სტადია-პროექტი).
14. ქ. თბილისი, ქიაჩელის ქ. №№ 15, 15ა, 17, 17ა, 19, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, (სტადია-ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა).

მ. მახათაძე: უარი ეთქვას.
ბ. გონაშვილი: შეუსაბამოა არსებული გარემოსთვის წარმოდგენილი სახით.
გ. სულაბერიძე: განმეორებით წარმოადგინოს. წარმოდგენილი იქნას არსებული შენობის შესაბამისი მაღალი დონის არქიტექტურული წინადადება, შესაბამისი ხედებით და ნახაზებით.
ს. სახანბერიძე: უარი ეთქვას.
მ. ხატიაშვილი: დარღვეულია არქიტექტურის მთლიანობა; ჩნდება სრულიად გაუმართლებელი მოცულობა, როგორც გრძივი ფასადის ისე გვერდების მხრიდან.
გ. წულუკიძე: გაუმართლებელია ამ ობიექტზე ამხელა მოცულობის დასმა, დარღვეულია შენობის არქიტექტურული მთლიანობა.

დასკვნა: პროექტს უარი ეთქვას, რადგანაც ირღვევა არსებული შენობის არქიტექტურული მთლიანობა

6. ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში შპს „მერქნის დაცვა"-ს კუთვნილი შენობის დემონტაჟის და ახალი საოფისე შენობის ასაშენებლად ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

მ. მახათაძე: მიეცეს დადებითი შეფასება. სართულიანობა განისაზღვროს 3 სართული მანსარდით.
გ. სულაბერიძე: მიეცეს დადებითი შეფასება.
ს. სახანბერიძე: მოცულობა განისაზღვროს სამი სართული მანსარდით, მოიხსნას ფრონტონზე კარნიზის ელემენტები.
ბ. გონაშვილი: მიეცეს რეკომენდაცია ქალაქმშენებლობითი პირობების გასაცემად. სართულიანობა განისაზღვროს სამი სართული მანსარდით.
მ. ხატიაშვილი: მიეცეს დადებითი რეკომენდაცია 3 სართულზე მანსარდით, სასურველია ფრონტონის კიდეებზე მოიხსნას კაპიტალური „წანაზარდები".
გ. წულუკიძე: მიეცეს დადებითი შეფასება.

დასკვნა: მიეცეს დადებითი შეფასება. სართულიანობა განისაზღვროს სამი სართული მანსარდით. სასურველია ფრონტონის კიდეებზე მოიხსნას დეკორატიული ელემენტები.

7. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №25-სა და 29-ს შორის მდებარე შპს „სალის" კუთვნილი სასტუმროს რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ.

დასკვნა: მიეცეს დადებითი შეფასება.

8. ქ. თბილისი, არაგვის ქ. №10-12-ში სამსართულიანი საცხ. სახლისათვის ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა.

მ. მახათაძე: სიმაღლე განისაზღვროს სამი სართულით.
ბ. გონაშვილი: მიეცეს დადებითი რეკომენდაცია. სართულიანობა განისაზღვროს 3 სართული მანსარდით.

გ. სულაბერიძე: მიეცეს ა.გ.დ. არსებული ქალაქგეგმარებითი პარამეტრების გათვალისწინებით, სიმაღლე განისაზღვროს 3 სართულით.

ს. სახანბერიძე: მიეცეს ა.გ.დ. მოქმედ კოეფიციენტებში, აივნების მოწყობისას გამოყენებულ იქნეს არაგვის ქ. №14 არსებული აივნების ელემენტები და არა ჯვარედინი. სიმაღლე განისაზღვროს 3 სართული მანსარდის გარეშე.

მ. ხატიაშვილი: შესაძლებელია გაიცეს სამსართულიან სახლზე დადებითი რეკომენდაცია; გასათვალისწინებელია, რომ სახლი №14 შესანარჩუნებელია, ის არსებული ისტორიული გარემოს დაცვისათვის მნიშვნელოვან შენობას წარმოადგენს.

გ. წულუკიძე: გაიცეს ა.გ.დ. 3 სართულიანი სახლის მშენებლობაზე არსებული კოეფიციენტების დაცვით.

დასკვნა: მიეცეს დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციებით: სართულიანობა განისაზღვროს 3 სართულით, აივნების მოწყობისას გამოყენებულ იქნას არაგვის ქ. №14 არსებული აივნების მსგავსი ელემენტები.

9. ქ. თბილისი, ფაღავას ქ. №36, საცხოვრებელი სახლის პროექტი (სტადია-პროექტი).

მ. მახათაძე: განმეორებით წარმოადგინოს პროექტი. მეტი ყურადღება მიექცეს არქიტექტურას.

ბ. გონაშვილი: სასურველია მოპირკეთებისათვის გამოყენებული იქნეს ტრადიციული მასალა (აგური). შემინული ერკერების ნაცვლად ღია აივნების გაჩენა.

გ. წულუკიძე: განმეორებით წარმოადგინოს, მოპირკეთდეს აგურით ან სხვა ტრადიციული მასალებით, ერკერებს ჩაენაცვლოს აივნები.

მ. ხატიაშვილი: მოგვარდეს არქიტექტურის საფასადო სახე: ტრადიციული მასალა-აგური, ერკერებს ჩაენაცვლოს აივნები. გათვალისწინებულ იქნას უბნისთვის დამახასიათებელი „ავთენტური" არქიტექტურული ფორმები და დეტალები.

ს. სახანბერიძე: შენობა შესრულდეს აგურში. ერკერები შეიცვალოს ღია აივნებით.

გ. სულაბერიძე: ფასადები შედარებით დასაწყნარებელია, მოსაგვარებელია ღიობები.

დასკვნა: პროექტი განმეორებით იქნას წარმოდგენილი შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით: მოპირკეთებისათვის გამოყენებული იქნეს აგური, ერკერები შეიცვალოს ღია აივნებით.

10. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №142-ში 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის I სართულზე არასაცხოვრებელი ფართობისათვის დამხმარე სათავსოების მოწყობა, (სტადია-პროექტი).

დასკვნა: მიეცეს დადებითი შეფასება.

ქალაქმშენებლობითი პირობები

№ _____

დამკვეთი/მენაშენე:	შპს "მერქნის დაცვა"
საპროექტო ობიექტი:	არსებული შენობის დემონტაჟი და ახალი საოფისე შენობის მშენებლობა
ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია;	ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ჩუბინაშვილის ქ. №63

მიწის ნაკვეთის ფართობი 864 კვ.მ	საპროექტო ობიექტის ფუნქცია: საოფისე	მიწის ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო	მასშტაბი: 1:500



შენსრ:	შესრულებული სამუშაოს მასალა ჩაბარებულია სამსახურის არქივში	ალანშეტი №	თარიღი: „_____"

მიწის ნაკვეთის საზღვარი	არსებული ნაგებობები	პირობითი აღნიშვნები:	
სამშენებლო საზღვრები	განაშენიანების ზოლი	წყალსადინარი	გზა
განაშენიანების ხაზი	მიწის ნაკვეთის გამწვანება	ელ. კაბელი	გახრება

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

(ადმინისტრაციული აქტის გამცემი უწყების დასახელება)

მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქალაქთმშენებლობითი პირობების მომზადების თაობაზე

დ. ალმაშენებლის გამზ. №89/24, II სართული.

(ნებართვის გამცემი უწყების მისამართი, ოთახის №, ტელეფონი)

ადმინისტრაციული აქტის მაძიებელი: ე. ფხაკაძე

(სახელი ან სახელწოდება; მისამართი)

ითხოვს ჩუბინაშვილის ქ. №63-ში, შპს „მერქნის დაცვა“-ს კუთვნილი შენობის დემონტაჟის და ახალი საოფისე შენობის პროექტის დასამუშავებლად ქალაქთმშენებლობითი პირობების მომზადებას.

(მისამართი, სადაც იგეგმება მშენებლობა; ასაშენებელი ობიექტის დასახელება)

ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა 30 დღის ვადაში.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობითი ფორმით ამ ცნობის გამოქვეყნების დღიდან 20 დღის ვადაში, ან დაესწროს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომას 2006 წლის 12 10 1500 სთ-ზე. (მის: დ. ალმაშენებლის გამზ. №89/24, II სართ.)

წერილობითი მოსაზრების წარმდგენს უფლება აქვს არ დაასახელოს თავისი ვინაობა (დარჩეს ანონიმურად).

პასუხისმგებელი პირი - მ. მახათაძე

(საზელი, გვარი)

13 09 2006წ.

ქალაქ თბილისის მერია
კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური
საქართველო, თბილისი, 0179
მერაბ კოსტავას I შესახვევი № 33

TBILISI CITY HALL
DEPARTMENT OF MUNICIPAL IMPROVEMENTS
33, Merab Kostava Street, 1 lane,
Tbilisi 0179, Georgia

ტელ: + 995 32 99 56 60
Tel:
www.tbilisi.gov.ge
ტელ/ფაქსი: + 995 32 92 07 90
Tel/Fax:

№ 3776-03/7
15 11 2006

შ.პ.ს. "მერქნის დაცვის"
დირექტორსს ბ-ნ ე. ფხაკაძეს

თქვენი 0811.06 №07/06 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან არსებულმა გამწვანების დარგის შემსწავლელმა კომისიამ შეისწავლა გ. ჩუბინაშვილის ქ. №63-ის ეზოში, თქვენს საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე სამი ძირი კედრის გადარგვის შესაძლებლობა და თანახმაა გადარგოთ ისინი, იქვე 5-6 მ-ის მანძილზე. ამასთან ერთად მათი შემდგომი შენარჩუნების მიზნით გთხოვთ გაითვალისწინოთ კომისიის ზოგიერთი რეკომენდაციები:

–თითოეული ნერგის ფესვის ყელოდან არანაკლები ერთი მეტრის დაცილებით (ხელით) ყველა მხარეზე ჩაეჭრას მიწა ერთი მეტრის სიღრმეზე, მიწის გუნდის შესანარჩუნებლად, ურომლისოდ წიწვოვანი მცენარეების გადარგვა ყოვლად შეუძლებელია.

–მიწა უნდა აუცილებლად უნდა შეიკრას მკვრივი ქსოვილით.

–ნიადაგიდან ნერგის ამოღება უნდა მოხდეს ამწე კრანის მეშვეობით, რისთვისაც ფესვის ყელიდან ერთი მეტრის სიღრმეზე მცენარე უნდა შეფუთოს მკვრივი ქსოვილით რამდენიმე ფენად, შეებას გამძლე თოკი, რომ მოიკიდოს ამწის საკიდზე და გადატანილ იქნას წინასწარ ამოღებულ ორმოში. (ოქმი №17)

სამსახურის უფროსის
მოადგილე თ. უძილაური

შემს. ილ. ფალავანდიშვილი
ტელ. 99-60-84

№3619
13.03.07წ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 03/213

„03 მარტი" ---------- 2007წ. ქ. თბილისი

შინაარსი: ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში, შ.პ.ს. „მერქნის დაცვა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საოფისე შენობის პროექტის შეთანხმების შესახებ.

დამკვეთი – შ.პ.ს. „მერქნის დაცვა"
საპროექტო ორგანიზაცია – ი.ს. „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი"
ავტორი – გ. გიორგაძე.

საფუძველი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №33050/2003 24.09.2003; საკადასტრო №1/16/1/8/5;)
ქალაქმშენებლობითი პირობები №ფ-1/39, 13.11.2006წ.

მიწის ნაკვეთის ფართი	–	864.0 მ^2
მოშენების ფართი	–	518.6 მ^2
საერთო ფართი	–	2558.6 მ^2
მათ შორის		
მანსარდის ფართი	–	467.4 მ^2
საზაფხულო ფართი	–	85.7 მ^2
საოფისე ფართი	–	724.4 მ^2
კომერციული ფართი	–	267.2 მ^2
დამხმარე ფართი	–	55.3 მ^2
სარდაფის ფართი	–	289.2 მ^2
ავტოსადგომის ფართი	–	315.5 მ^2
სამშენებლო მოცულობა	–	8655.2 მ^3
0.00 ზევით	–	7933.3 მ^3
0.00 ქვევით	–	722.2 მ^3

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილების მე-4 თავისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

შეთანხმდეს, ქ .თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში, შ.პ.ს. „მერქნის დაცვა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტი.

სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.
მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში.
წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის. თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: სარაჯიშვილის გამზ.№1ა) 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი – მ. მახათაძე

შემსრ. გ. დავითაძე